

არაკომერციული გამომცემლობა საგა

ჯიბის ნიგნის სერია 3

მედია – კულტურა – საზოგადოება

რჩევები და სერვები – როგორ ვმართოთ „შეზღუდულ-ობა“?

ფსიქიატრიასთან
გამოცდილების მქონე პირთა
გერმანული ასოციაცია

თბილისი, 2009

ტექსტის სათაური ორიგინალში:

Tipps und Tricks, um Ver-rücktheiten zu steuern

ტექსტი იბეჭდება შემდეგი წყაროს მიხედვით:

© Bundesverband Psychiatrie-Erfahrener e.V. (BPE),
www.psychiatrie-erfahrene-nrw.de, 2003-2005

თარგმანი გერმანულიდან:	დევი დუმბაძე
რედაქტორები:	რუსულან ასათიანი თემურ იოსებაძე
დაკაბადონება:	გიორგი ბაგრატიონი
ნახატი გარეკანზე და გამომცემელი:	სოსო დუმბაძე



მესამე გამოცემა, 2009

ISBN 978-9941-0-0295-3

ყველა უფლება დაცულია

© არაკომერციული გამომცემლობა საგა, 2009

www.sa-ga.org

სარჩევი

მთარგმნელისა და გამომცემლის წინასიტყვაობა ... 7

რჩევები და ხერხები – როგორ
ვმართოთ „შეშლილ-ობა“? 19

I. პრევენცია 21

II. როგორ შეიძლება შეამჩნიო,
თუ როდის იწყება „ეს“ ისევ? 35

III. რა შეიძლება დაგეხმაროს ამ ვითარებაში? .. 39

IV. როცა „გაიჭედები“, „შეიშლ-ები“ 45

V. „შეშლილ-ობის“ შემდეგ 57

VI. კონკრეტული სახის „შეშლილ-ობის“
მდგომარეობათა დაძლევა 59

ფსიქოთერაპევტის პოლოსიტყვაობა 63

დამხმარე მოგანიზაციათა
საკონტაქტო ინფორმაცია 73

მთარგმელისა და გამომცემლის ნინასიტყვაობა

ტექსტი „რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ „შეშლილ-ობა“?“ მომზადებულია „ფსიქიატრი-ასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაციის“ მიერ („*Tipps und Tricks, um Ver-rücktheiten zu steuern*“, *Bundesverband Psychiatrie-Erfahrene e.V.*). გერმანულ ენაზე ტექსტს შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტში ვებ-გვედრზე: www.psychiatrie-erfahrene-nrw.de ის პირველად გამოქვეყნდა 2003 წელს; დაიხვენა და გადამუშავდა 2005 წელს.

„ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაცია“ არის საზოგადო-ებრივი გაერთიანება გერმანულ ფსიქიატრიულ სივრცეში, რომელიც ნაწილობრივ გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ფინანსდება. ასოციაცია ახორციელებს პროგრესულ პოლიტიკას; აქტიურად იღვნის საზოგადოებაში ტაბუირე-

ბული თემისათვის იდუმალების საბურველის მოცილებისა და ნომენკლატურული კანონმდებლობის ცვლილებებისათვის, რაც გერმანიაშიც და საქართველოშიც ჯერ კიდევ, სამნუხაროდ, გადაულახავი რჩება.

იმის აღსანიშნავად, რასაც წინამდებარე ტექსტში „შეშლილ-ობა“ (*Ver-rücktheit*) ეწოდება, მედიცინაში დამკვიდრებულია ტერმინი „ფსიქოზი“, ან „ფსიქოზური ეპიზოდი“ (გერმ. *Psychose, psychotische Episode*). ჩვენ მიერ გამოცემული „მეგზურის“ თავისებურება კი ის არის, რომ ის არ არის სამედიცინო ფსიქიატრიის ტერმინებში დაწერილი – მიუხედავად იმისა, რომ, რასაკვირველია, ფსიქიატრიის ფართო ცოდნასაც ეყრდნობა. ეს „მეგზური“, პირველ ყოვლისა, თავად ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე ადამიანთა მრავალჯერად და მრავალფეროვან პირად გამოცდილებებს უყრის თავს და განაზოგადებს. ის შექმნილია თვით „გამოცდილების მქონე პირთა“ მიერ – თავად მათთვის ისევე, როგორც მათი ახლობელი ადამიანებისათვის და, ამდენად, თავს უყრის ცოდნას, რომელიც ფსიქიატრიისათვის უშუალოდ ხელმისაწვდომი არ არის.

წინამდებარე „მეგზური“ არც თეორიული ნარკევი ან სამეცნიერო გამოკვლევაა. ეს არის და-

მხმარე პრაქტიკული საშუალება, სადაც რჩევები მკითხველს არა საპოლოო გადაწყვეტების, არა-მედ შესაძლო ხერხების სახით მიეწოდება. დაინტერესებულმა მკითხველმა ისინი თავად, ინდივიდუალურად უნდა გამოსცადოს, რათა დაადგინოს, თუ რომელია მისთვის სასარგებლო, რომელი კი – ნაკლებად. „რჩევები და ხერხები“ ეხება როგორც ფსიქოზური კრიზისული ეპიზოდების პრევენციასა და მათ აღსაკვეთად წინასწარ მისაღებ შესაძლო სასარგებლო ზომებს, ისე თავად კრიზისულ და გადალახული კრიზისის შემდგომ პერიოდებსაც. ტექსტი შემდეგ კითხვებს წამონევს:

- როგორ შეიძლება ვისწავლოთ ფსიქოზური კრიზისების დაძლევა ფსიქოტროპული ნამლების, შეძლებისდაგვარად, მცირე დოზებით?
- როგორ შეიძლება ავიცილოთ კლინიკაში სტაციონირება, რასაც ხშირ შემთხვევაში იძულებითი ხასიათი აქვს?
- როგორ შეიძლება უდიდესი სიფრთხილითა და ფსიქოზური დაავადებებისათვის დამახასიათებელი დინამიკის სრული გათვალისწინებით, ინდივიდუალურად გამოვცადოთ და დავისწავლოთ სიმშვიდისა და მყუდროების მოსაპოვებლად აუცილებელი ზომები?

ტექსტის ავტორები ცდილობენ ამ და სხვა კითხვებს მარტივი, მრავალგზისი გამოცდილები-

დან მიღებული რჩევებისა და ხერხების შემო-
თავაზებით გასცენ პასუხი.

მოკლე შენიშვნა თარგმანში შერჩეული, ერთი
შეხედვით, უჩვეულო ტერმინის განმარტებისათ-
ვის: დედანში გამოყენებული სიტყვა *Verrücktheit*
(„შეშლილობა“) სამეცნიერო ტერმინს არ წარ-
მოადგენს და ფსიქიატრია მას სამართლიანად
უარყოფს. მიუხედავად ამისა, „მეგზური“ მაინც
მიმართავს ამ ყოფით, ყოველდღიურ ენაში დამ-
კვიდრებულ სიტყვას, ოლონდაც მასში დეფისს
სვამს (*Ver-rücktheit*). ეს შემთხვევითი არ არის,
არამედ განზრახ კეთდება. ამით ავტორები ცდი-
ლობენ, ამ აღნიშვნას თავისი სტიგმატური ხასიათი
ჩამოაცილონ (რაც შესაბამის ქართულ სიტყვაშიც
აშკარაა). დეფისიანი ფორმა, *ver-rückt*, სიტყვის
თავდაპირველ მნიშვნელობასთან გვაძრუნებს: ის
სიტყვა-სიტყვით „გადაწყვეტილს“, „გადაადგილე-
ბულს“, „გადასულს“ ნიშნავს. დამკვიდრებული
მნიშვენლობისაგან გაუცხოებით ხაზი ესმება
იმას, რომ ე.ნ. „შეშლილ-ობა“ არ არის რაიმე
„უსაშველო“ ან „მისტიკური“ მდგომარეობა, რა-
დაც ის ხშირად, სამწუხაროდ დღესაც კი, აღიქმე-
ბა ქართული საზოგადოების ყველდღიურ ცხოვ-
რებაში; თანამედროვე ფსიქიატრიამ დიდი ხანია
უკან ჩამოიტოვა ამგვარი ცრურნმენები და მრა-
ვალი სასარგებლო საშუალება შეიმუშავა ამ

დაავადების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს, სიტყვა „შეშლილ-ობის“ ამ ფორმით (დე-ფისით) გამოყენება იმაზეც მიუთითებს, რომ აქ არც უბრალოდ „ფსიქოზთან“ გვა-ქვს საქმე, რომელსაც საკმარისია მხოლოდ დამკვიდრებული ფსიქიატრიული სამედიცი-ნო-კლინიკური საშუალებებით „ვებრძოლოთ“. ამ გაგებათაგან განსხვავებით, „შეშლილ-ობა“ ტექსტში განიხილება ინდივიდუალურად მრა-ვალსახოვან უნართა, გამოცდილებათა და ფსი-ქო-ფიზიკურ მდგომარეობათა ერთობლიობად, რომლებიც ადამიანის ინდივიდუალური გა-ნუმეორებლობის ნაწილს წარმოადგენენ. სი-ტყვის ამგვარი გაგება (რის გადმოცემასაც ჩვენც ასევე ხელოვნური ფორმით – დეფისის ჩასმით ვცდილობთ) უკეთ ასახავს იმ ვითა-რებას, რომ არსებობს „შეშლილ-ობათა“ მარ-თვისა და დაძლევის იმდენივე ინდივიდუალუ-რად განსხვავებული გზა, რამდენი ინდივიდუა-ლურად განსხვავებული ადამიანიც არსებობს. ეს გზები, ფსიქიატრიასთან ნაყოფიერ კონ-ტაქტში, შესაძლებელია დავისწავლოთ, თუმცა კი ამისათვის სერიოზული გარჯა და განსხვა-ვებულად ხანგრძლივი პერიოდები შეიძლება გახდეს საჭირო. ტექსტის მიზანიც სწორედ ის გახლავთ, რომ ხელი შეუწყოს ადამიანებს, რათა მათ, უპირველეს ყოვლისა, თვითრეფლექსის

საფუძველზე გათვითცნობიერებული დამოკიდებულება მოიპოვონ ამ რთული მდგომარეობის მიმართ; ასევე, დაეხმაროს ადამიანებს და მათ გარემოს – საზოგადოებას ნაბიჯ-ნაბიჯ, განსხვავებული საშუალებების გამოცდით, გზა გაიკვლიონ „შეშლილ-ობათა“, ერთი შეხედვით, გაუვალ ჯურლმულებში და მათთან დამოუკიდებელი მოპყრობა ისწავლონ.

ასეთი ტიპის „მეგზურები“ განსაკუთრებით აუცილებელია საქართველოში, რამდენადაც აქ თანამედროვე ფსიქიატრიის ზემოხსენებული საშუალებანიც კი არასაკმარისად არის განვითარებული. ვგულისხმობთ, მაგალითად, თანამედროვე წამლების ნაკლებობას, მათ უკიდურეს ხელმიუნჯდომლობას უაღრესად მაღალი ფასის გამო; ისეთი აუცილებელი სტრუქტურების, ფაქტიურად, არარსებობას, როგორიცაა თანამედროვე კლინიკები, მაღალკვალიფიცირებული თერაპიული დაწესებულებები, საკმარისი რაოდენობის სპეციალისტები, სპეციალური სოციალური უზრუნველყოფა, ალტერნატიული თერაპიული შემოთავაზებანი და სხვ.

რადგანაც საქართველოს საზოგადოებაში ამ სახის „რჩევითი“ ხასიათის ლიტერატურა და ზოგადი ინფორმაცია გავრცელებული არ არის, გვსურს თავი დავიზღვიოთ და, ასევე, გავაფრთხილოთ

მკითხველი, რომ აუცილებელია ტექსტში მოცე-
მული ზოგიერთი მითითება კრიტიკული თვალით
იქნეს განხილული. თუკი „მეგზურის“ ნაკითხვის
შემდეგ მკითხველს შეექმნება შთაბეჭდილება,
თითქოს შესაძლებელი ან მიზანშენილი იყოს
მნვავე ფსიქოზური კრიზისული პერიოდების
დაძლევა საერთოდ ფსიქოტროპული ნამლე-
ბის გარეშე, ეს, სამწუხაროდ, მცდარი შთაბეჭ-
დილება იქნება. ტექსტის დადებითი ასპექტი და
მისი უპირატესობა შეიძლება დავინახოთ იმაში,
რომ მასში მითითებულია გზა, თუ როგორ უნდა
გაუმკლავდნენ ფსიქიატრიასთან გამოცდილე-
ბის მქონე პირები ამგვარ რთულ მდგომარეო-
ბებს დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად,
ოღონდაც საზოგადოების აუცილებელი მხარდა-
ჭერისა და ფსიქიატრთან თანასწორი მესაუბრის
დონეზე კონტაქტის პირობებში. ფსიქოტროპული
ნამლებისაგან თავის შეკავება აქ მხოლოდ ერთ-
ერთი საშუალებაა, რომელიც ძალიან ფრთხი-
ლად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ინდივიდუალური სიტუაცი-
ის გათვალისწინებით და პროფესიონალებთან
კონსულტაციის კონტექსტში უნდა იქნეს გამო-
ყენებული.

მადლობას ვუხდით „ფსიქიატრიასთან გამოცდი-
ლების მქონე პირთა გერმანულ ასოციაციას“, რო-
მელმაც ტექსტის ქართულად გამოქვეყნებისა-
თვის საჭირო საავტორო უფლებები გადმოგვცა.

მადლობას ვუხდით ქალბატონ მაია ხუნდაძეს, პროექტის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ მენეჯერს, რომელმაც მოგვაწოდა გამოცემის ბოლოში დართული ზოგიერთი დამხმარეორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაციები.

მადლობას ვუხდით ფსიქიატრს, ქალბატონ ლიკა წვერავას, და კავშირის „თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის“ გამგეობის წევრს, ბატონ ლევან ოდიშარიას, რომლებიც დაგვეხმარნენ ტექსტის დამუშავებაში და მხარი დაუჭირეს გამომცემლობით პროექტს.

აგრეთვე, მადლობას ვუხდით ქალბატონ ნანა ზავრადაშვილს, „საქართველოს ფსიქიური ჯანმრთელობის ასოციაციის“ პროგრამების მენეჯერს, ტექსტის ერთ-ერთ ქვეთავეში: „არანებაყოფლობითი სტაციონირების შემთხვევაში“ შეტანილი შენიშვნებისათვის, რომლებიც მან საქართველოში ფსიქიატრიული მკურნალობის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით მოგვაწოდა. იგი თავად მონაწილეობდა საქართველოში ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონზე მომუშავე ჯგუფში.

გამოცემას ერთვის „საქართველოს ფსიქოთერაპეტთა და კლინიკურ ფსიქოლოგთა ასოციაციის“

თანაპრეზიდენტის, „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ ფსიქოთერაპევტის, ბატონ თემურ იოსებაძის ბოლოსიტყვაობა, სადაც მედიკოსი სპეციალისტის თვალით არის განხილული წინამდებარე ტექსტი. ავტორი მიგვანიშნებს მის აქტუალობასა და ღირებულებებზე, უთითებს „მეგზურის“ ზოგად კონტექსტს თანამედროვე ფსიქიატრიულ სივრცეში. ბოლოსიტყვაობაში ასახულია როგორც ფსიქოთერაპევტის შეხედულება „მეგზურში“ წარმოდგენილი რჩევებისა და ხერხების შესახებ, ასევე ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ჯგუფის წევრების (სადაც ტექსტი ჯგუფური ფსიქოთერაპიის არაერთ სესიაზე იყო განხილული) დამოკიდებულებები. ტექსტი ამ განხილვებისას გაჩენილი კითხვებისა და შენიშვნების გათვალისწინებით ხელმეორედ იქნა რედაქტირებული. ბატონი თემური სიამოვნებით დაგვთანხმდა ამ თარგმნით-გამომცემლობით პროექტში აქტიურ მონაწილეობას, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ტექსტის პირველი გამოცემის თარგმნა და გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ ხელშეწყობით.

არაკომერციული გამომცემლობა საგა პირველი გამოცემის დიდი ნაწილი უსასყიდლოდ დარიგ-

და სხვადასხვა სათანადო ორგანიზაციებსა და კლინიკებში, რათა მათ, თავის მხრივ, „მეგზური“ უსასყიდლოდ გადაეცათ დაინტერესებული პირებისათვის.

სათანადო ოფიციალური დამხმარე ორგანიზაციათა მითითების გვერდით (იხ. გვ. 73), საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეწოდებინა გამომცემლის მხრიდან პირადი კოორდინატებიც: info@sa-ga.org შევეცდებით დაგეხმაროთ და მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია.

ვიმედოვნებთ, ისევე როგორც გერმანიაში, საქართველოშიც ეს „მეგზური“ გამოადგება ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირებს, მათ ახლობლებსა და მეგობრებს, და არა მარტო მათ. იმედია, გამოცემა, ასევე, შეიტანს თავის მოკრძალებულ წვლილს ამ პიროვნებათა მიმართ არსებული მწვავე საზოგადოებრივი სტიგმატიზაციის გადალახვის პროცესში.

დევი დუმბაძე
სოსო დუმბაძე

**რჩევები და სერვები – როგორ
ვმართოთ „შეზღუდულ-ობა“?**

არსებობს მრავალი ძალიან განსხვავებული სახის „შეშლილ-ობა“¹, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, ისინი ავადმყოფობას წარმოადგენდნენ, ან ავადმყოფობად იქცნენ. ერთი მხრივ, „შეშლილ-ობანი“ შეიძლება დაგვეხმარონ, უფრო მეტი რამ შევიტყოთ საკუთარი თავის შესახებ; მათ შეიძლება ხელი შეგვინყონ ახალი ხედვების განვითარებაში. „შეშლილ-ობებმა“ შეიძლება გააქტიურონ ჩვენი წარმოსახვისა და შემოქმედების უნარი. მეორე მხრივ, მათ შეიძლება ტანჯვაც გამოიწვიონ, დაანგრიონ ჩვენი ურთიერთობები და ჩვენი ცხოვრების სოციალური საფუძველი. მათ შეიძლება, ფსიქიატრიულში ამოგვაყოფინონ თავი და, უარეს შემთხვევაში, სიკვდილიც კი გამოიწვიონ.

ფსიქიატრიული მკურნალობის დროს, ჩვეულებრივ, საკითხს ასე აყენებენ: რა არის „შეშლილ-ობებთან“ შებრძოლების საუკეთესო საშუალება? ამას, როგორც წესი, პასუხობენ: ფსიქოტროპული მედიკამენტები და დამატებითი სოციალურ-ფსიქიატრიული ზომები.

1 სიტყვა „შეშლილ-ობის“ ამ ფორმით გამოყენების ახსნა იხ. მთარგმნელისა და გამომცემლის წინასიტყვაობაში (გვ. 10-12) – გამომც. შენ.

ჩვენ კი ასეთ გაგებას შემდეგი თეზისი გვსურს დავუპირისპიროთ: „შეშლილ-ობა“ წარმოადგენს ნიჭს, ოღონდაც ნიჭს, რომლის მოპყრობაც აუ-ცილებელია დავისწავლოთ. „შეშლილ-ობის“ „ნი-ნააღმდეგ ბრძოლა“ და მისთვის „ომის გამოცხა-დება“ კი, პირიქით, იგივეა, რაც საკუთარ თავს ცეცხლს ვუხსნიდეთ.

დამკვიდრებული იარაღების არსენალის – მაგა-ლითად, ფსიქოტროპული წამლების – გვერდით გადადება და სხვა, მშვიდობიანი გზების ძიება რთულიც არის და დიდ გარჯასაც მოითხოვს. ეს პროცესი ვერც ერთ-ორ დღეში გამოიღებს შედეგს. ამ „მეგზურით“ ჩვენ გვსურს საფუძველი დავუდოთ მცდელობას, თავი მოვუყაროთ ფსიქი-ატრიასთან გამოცდილ ადამიანთა ცოდნასა და გამოცდილებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმართოს „შეშლილ-ობა“.

I. პრევენცია²

„შეშლილ-ობა“ არასოდეს იწყება უმიზეზოდ – არ დაგვეცემა მეხივით მოწმენდილ ცაზე, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად შეიძლება ასე მოგვეჩვენოს.

ძალიან ხშირად თავის როლს თამაშობს ბავშვობის პერიოდის განცდები. ამავე დროს, მნიშვნელოვანია აქტუალური ცხოვრებისეული სიტუაციებიც. ქვემოთ მოვიყვანთ იმ ფაქტორების ნუსხას, რომლებსაც შეიძლება ცხოვრების აქტუალურ სიტუაციებში გადავეყყაროთ და რომლებიც „შეშლილ-ობის“ აღმოცენების აღბათობას ზრდიან:

- ა) სოციალური იზოლაცია;
- ბ) არადამაკმაყოფილებელი დასაქმების სიტუაცია;
- გ) ან არასაკმარისი, ან გადაჭარბებული სტრესი;

2 პრევენცია (ლათ. „წასწრება“, „დასწრება“) გამოიყენება სამედიცინო ტერმინად იმ დაზღვევითი, „პროფილაქტიკური“ ზომების ერთობლიობის აღსანიშნავად, რომლებიც არასასურველი პროცესების (ამ შემთხვევაში: „შეშლილ-ობის“) თავიდან ასაცილებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული – მთარგმნ. შენ.

- დ) საკუთარ გრძნობათა და მოთხოვნილებათა უგულებელყოფა;
- ე) სიყვარულის პრობლემები, სიყვარულის სევდა;
- ვ) ფარული ან აშკარა კონფლიქტები ახლობელ ადამიანებთან;
- ზ) საარსებო პრობლემები, მაგალითად: დიდი ვა-ლები, უსახლკარობა და სხვ.;
- თ) კონკრეტულ სიტუაციებთან დაკავშირებული გალიზიანებანი, რომლებიც ბავშვობის ტრავ-მატულ განცდებს აცოცხლებენ;
- ი) ახლობელ ადამიანთა დაკარგვა;
- კ) აქტუალური ტრავმატული გამოცდილებანი.

როდესაც არაერთი ასეთი ან მსგავსი ფაქტორი იჩენს თავს, ჩვენ „შევიძლე-ბით“ ხოლმე. ამა თუ იმ მიზეზით, არსებული ვითარება ჩვენთვის აუ-ტანები ხდება. ეს იმას ნიშავს, რომ სიტუაციიდან სხვა გამოსავალს, ან მისგან თავის დაღწევის სხვა საშუალებას ვეღარ ვპოულობთ და აი, ამ დროს, უეცრად ან ნელ-ნელა, აშკარად ან შეუმჩნევლად – სხვა სამყაროებში გადავდივართ.

თავად „შეშლილ-ობა“ ძვირფას უნარს წარმოადგენს. მან შეიძლება დაგვიცვას სიტუაციაში, რომე-

ლიც სხვა შემთხვევაში ჩვენთვის აუტანელი იქნებოდა. იგი შეიძლება დაგვეხმაროს, შევიტყოთ ახალი რამ საკუთარი თავის შესახებ, რადგანაც, უმეტეს შემთხვევაში, „შეშლილ-ობაში“ კოდირებული სახით მულავნდება ჩვენი სურვილები, შიშები, ნარსულის მოგონებანი და მიჩქმალული გრძნობები.

მიუხედავად ამისა, არაკონტროლირებული „შეშლილ-ობა“ ჩვენთვის, ამავე დროს, საფრთხეც არის. ამიტომაც, პრევენციული ზომების სახით, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ:

- ხშირ-ხშირად შევჩერდეთ ყოველდღიური ცხოვრების გზაზე და ვკითხოთ საკუთარ თავს: ვარ თუ არა კმაყოფილი ჩემი დღევანდელი ცხოვრებით? არსებობს თუ არა რაიმე, რისი შეცვლაც მსურს?
- როგორ იქნებოდა შესაძლებელი ამის შეცვლა? არსებობენ თუ არა ადამიანები, რომლებიც მხარში ამომიდგებიან და გამამხნევებენ იმის მიღწევის პროცესში, რაც მე მსურს?
- თუკი ისეთი რამ მსურს, რაც, გარე ცხოვრებისეული პირობების გამო, დროის ამ კონკრეტულ მომენტში შეუსრულებადია, ხომ არ არსებობს სხვა მსგავსი რამ, ან უფრო პატარა სურვილი, რომლის შესრულებაც შემიძლია?

- პრევენციისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მეგობართა და ნაცნობთა წრე, ვისთანაც კარგად ვგრნობთ თავს; სადაც შეგვიძლია თავისუფლად ვილაპარაკოთ ცხოვრებისეულ სირთულეებსა და სასიხარულო მომენტებზეც. ამ შემთხვევაში, მაგალითად, შეიძლება დაგვეხმაროს, ე.ნ. თვითდახმარების ჯგუფებში³ მონაწილეობაც; ასევე, ისეთ ადამიანებთანურთიერობა, ვისაცჩვენნაირი ჰობი ან მსგავსი ინტერესები აქვთ.

ეს რჩევები უფრო ზოგად პრევენციულ შესაძლებლობებს ეხება. მათ გარდა, არსებობს რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯიც, რომელიც შეიძლება გადავდგათ პრევენციის მიზნით. თუმცა, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია: სჯობს თავად გამოვცადოთ პრაქტიკულად რაიმე საშუ-

³ ე.ნ. „თვითდახმარების“ ჯგუფები (Selbsthilfegruppe) არის იმ ადამიანთა თვითორგანიზებული გაერთიანებანი, რომელიც მსგავს სოციალურ ან ფსიქო-სოციალურ პრობლემათა წინაშე დგანან და თავად ცდილობენ ერთმანეთის დახმარებით დაძლიონ ისინი. ასეთ პრაქტიკულ დახმარებაზე ორიენტირებულ ჯგუფებს ხშირად ასოციაციათა ხასიათიც აქვთ და, მაგალითად, გერმანიაში ისინი ხშირად საჯარო ფინანსური მხარდაჭერითაც სარგებლობენ. საქართველოში ამ ტიპის ორგანიზაციებია: „იუზერთა და ექს-იუზერთა კავშირი“ და „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“ (მათი კოორდინატები იხ. გვ. 75) – მთარგმნ. შენ.

ალება, ვიდრე მხოლოდ თეორიულად დავისწავლოთ ის – „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია“.

1. შეადგინე სია საგანგებო შემთხვევებისათვის

ასეთი სიის შესადგენად უნდა გაიხსენო უკანასკნელი კრიზისი და დაფიქრდე იმაზე, თუ რამ გიშველა, რამ კი, პირიქით, გავნო მის პერიოდში. სია სწორედ ამ გამოცდილების საფუძველზე დგება. მასში მითითებულია ყველაფერი ის, რაც შეიძლება გააკეთო, თუკი კრიზისი დადგება. ქვემოთ, მაგალითის სახით, მოცემულია ასეთი სიის ერთ-ერთი ვარიანტი. (**(რასაკვირველია, ეს ინდივიდუალური პროცესია და ასეთი სიაც ყველამ საკუთარი თავისთვის უნდა შეადგინოს):**)

1. ვიმზადებ კაკაოს/ჩაის;
2. ტელეფონზე ვურეკავ უახლოეს მეგობარს, მაგალითად გიორგის, და ვთხოვ, ხომ არ შეუძლია, ჩემთან გამოვიდეს? თუ მას ვერ დავუკავშირდი, ვურეკავ ელენეს შემდეგ ნომერზე: … , ან გოგლას ამ ნომერზე: ...
3. არ გავდივარ გარეთ;
4. ვურეკავ მშობლებს;
5. ვბანაობ;

ფსიქიატრიული პრობლემების გადაწყვეტას საზოგადოება უძველესი დროიდან ცდილობს. მაგრამ მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა იმის გაცნობიერება, რომ ამ პრობლემების დაძლევისათვის საჭიროა თვით იმ ადამიანთა აქტიური ჩართვა პრობლემების გადაწყვეტის პროცესში, ვისაც ეს პრობლემები შეეხო. მანამდე ფსიქიატრიული პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდნენ ან პარამედიკოსები (ქურუმები, შამანები, ექიმპაშები, პარაფსიქოლოგები, სასულიერო პირები და სხვ.), ან სათანადო მეცნიერებათა ნარმომადგენლები (ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები, ნევროპათოლოგები და სხვ.) თვით ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პირების გარეშე. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით იცვლება ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანთა როლი ფსიქიატრიულ სფეროში. გაიზარდა მათი აქტიურობა. მათ შექმნეს საკუთარი ასოციაციები. მათ დაიწყეს პროფესიონალებთან ერთად მეცნიერული ნაშრომების გამოცემა, სამეცნიერო კონფერენციები.

რენციების მოწყობა, ამ კონფერენციებზე მოხსენებით გამოსვლა და საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლა. კვლევებისა და თერაპიის პასიური ობიექტიდან ისინი სულ უფრო და უფრო ხდებიან ამ პროცესების თანასუბიექტები, შესატყვისი სპეციალისტების პარტნიორები. ფსიქიატრიული პრობლემების გადაწყვეტისას, ისინი სულ უფრო მეტად ინანილებენ პასუხისმგებლობას შესაბამის მეცნიერებათა წარმომადგენლებთან ერთად.

ამ ყველაფერს ხელი შეუწყო არსებითმა ცვლილებებმა ფსიქიკური დაავადების გაგებაში. ფსიქიკური დაავადების ბიოლოგიური ახსნის სანაცვლოდ, ფსიქიატრიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, გაძატონდა ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომა. ამ უკანასკნელის ჩარჩოებში, ჩამოყალიბდა ფსიქიკური ჯანმრთელობა-ავადმყოფობის ღერძული მოდელი. ადრე ფსიქიკური ავადმყოფობა და ჯანმრთელობა განიხილებოდა, როგორც ფსიქიკის ორი ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი თვისება. ამასთან, ითვლებოდა, რომ ფსიქიკური დაავადება განუკურნებელი იყო. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანს, ფაქტიურად, ორი არჩევანი ჰქონდა: ან უარყოფა უნდა მოეხდინა თავისი ფსიქიატრიული პრობლემებისა, რათა სხვებს ფსიქიკურად ჯანმრთელად ეცნოთ – ან

ყველა ღონე ეხმარა, რომ აბსოლუტურად ჯან-
მრთელი გამხდარიყო, განთავისუფლებულიყო
მთლიანად და სამუდამოდ ყოველგვარი ფსიქი-
ატრიული სიმპტომისაგან. ამით ის ცდილობ-
და დაემტკიცებინა სხვებისათვის და საკუთარი
თავისთვისაც, რომ ის „ჯანმრთელ“ ადამიანებს
მიეკუთვნებოდა და არა „ავადმყოფებს“. როგორც
ფსიქიატრიულმა პრაქტიკამ აჩვენა, ორივე ეს
გზა პაციენტისათვის უპერსპექტივო იყო. ორივე
მათგანი, საბოლოო ჯამში, ბადებს სტრესს პაცი-
ენტისათვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს მისი მდ-
გომარეობის გამწვავება, „კრიზისული“ მდგომა-
რეობა. ფსიქიკური ჯანმრთელობა-ავადმყოფო-
ბის ღერძული მოდელის თანახმად, ჯანმრთელო-
ბა და ავადმყოფობა ფსიქიკის ორ დამოუკიდებელ
თვისებას კი არ წარმოადგენს, არამედ ისინი ერთ
უნივერგ ღერძზე განლაგებულ ფსიქიკურ მდგო-
მარეობათა ვარიაციებია. ღერძის ქვედა ბოლო
წერტილი გამოხატავს უკიდურეს ავადმყოფურ
მდგომარეობას, ღერძის ზედა ბოლო წერტი-
ლი კი აღნიშნავს აბსოლუტურ ჯანმრთელობას.
ღერძის ამ ორ ბოლო წერტილებს შორის ხაზი
გამოხატავს ფსიქიკური მდგომარეობის უნივერგ
გრადაციებს, უკიდურესი ავადმყოფური მდგო-
მარეობიდან აბსოლუტური ჯანმრთელობის მდ-
გომარეობამდე. ამ მოდელის მიხედვით, ყოვე-
ლი ადამიანი, თავისი ფსიქიკური მდგომარეობის

შესაბამისად, შეიძლება მოთავსდეს აღნიშნული ლერძის გარკვეულ წერტილზე. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კონკრეტული ინდივიდი არ არის მიჯაჭვული ლერძის ამა თუ იმ წერტილზე. ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორების გავლენით ადამიანი თავისი ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად გადაადგილდება ამ ლერძზე, ან ზემოთ – აბსოლუტური ჯანმრთელობის მდგომარეობისკენ, ან ქვემოთ – უკიდურესი ავადმყოფური მდგომარეობისაკენ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მოდელი პაციენტს აძლევს შესაძლებლობას მოიძიოს და გამოიყენოს ის ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორები, საშუალებები, რომლებიც დაეხმარებიან მას თავი დააღნიოს ავადმყოფურ მდგომარეობას.

სწორედ აღნიშნულ მიდგომას გამოხატავს მოცემული ნაშრომი: „რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ „შეშლილ-ობა“. იგი დაწერილია „ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაციის“ მიერ და განკუთვნილია, პირველ რიგში, ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანებისათვის. თუმცა, ჩემი აზრით, იგი საინტერესო იქნება ფსიქიატრიული პრობლემებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან, რომლებშიც განხილულია ფსიქიატრიული პაციენტებისათვის,

ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: 1) ფსიქიკური „კრიზისების“ პრევენცია; 2) როგორ შეიძლება შეამჩნიო, რომ იწყება „კრიზისი“; 3) რა შეიძლება დაგეხმაროს, თუ შეამჩნიე „კრიზისის“ მოახლოება; 4) როდესაც „კრიზისული“ მდგომარეობა დაგეუფლება; 5) „კრიზისის“ შემდეგ; 6) კონკრეტული სახის „კრიზისულ“ მდგომარეობათა დაძლევა. ამ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში მოცემულ რჩევებს პრაქტიკული ღირებულება აქვთ ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პირებისათვის არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ჩვენთანაც, საქართველოში. ამას ადასტურებენ თბილისის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის მომხმარებლები, რომლებთანაც მოხდა ამ ნაშრომის გარჩევა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნაშრომში მოცემული რჩევების უბრალო მექანიკური გადმოტანა მოხსნის სათანადო ფსიქიატრიულ პრობლემებს. ამა თუ იმ რჩევის გამოყენებისას აუცილებელია მხედველობაში იყოს მიღებული კონკრეტული პიროვნების თავისებურებები, მისი აქტუალური მდგომარეობა და კონკრეტული გარემო პირობები. მარტივად რომ ვთქვათ, თვითონ კონკრეტულმა ინდივიდმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი რჩევა უნდა გამოსცადოს თავის თავზე და როდის.

პირადად ჩემი აზრით, ამ ნაშრომის მთავარი ღირსება ის კი არ არის, რომ იგი იძლევა კონკრეტულ „რეცეპტებს“ ფსიქიატრიული პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ ის, რომ გვიბიძგებს გარკვეული აზროვნებისაკენ. აზროვნებისაკენ, რომელიც გვეუბნება, რომ დინამიკურად, შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ მოცემულ რჩევებს და ჩვენ თვითონაც უნდა შევეცადოთ მოვძებნოთ, შევქმნათ ჩვენი ფსიქიატრიული პრობლემების გადასაწყვეტის ან თუნდაც მათი შემცირების „რეცეპტები“. რა თქმა უნდა, ამ ნაშრომის ღირსებები მხოლოდ აღნიშნულით არ ამონნურება. მე მინდა გამოვყო მოცემული ნაშრომის შემდეგი ღირსებები: 1) იგი ნარმოადგენს კონკრეტულ, პრაქტიკულ რჩევებს ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანებისათვის; 2) ეს რჩევები ეხება ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პირებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხებს; 3) რჩევები დაწერილია თვით ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანების მიერ; 4) ტექსტი დაწერილია მარტივი, ჩვეულებრივი ენით და არ არის გადატვირთული სამეცნიერო ტერმინოლოგიით; 5) ნაშრომი მცირე მოცულობისაა; 6) იგი ნარმოადგენს ამ ტიპის ნაშრომთა ქართულად პუბლიკაციის პირველ მერცხალს. აღბათ, ამ ნაშრომის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მისი ნაკითხვის შემდეგ,

ჩვენი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის მომხმარებლებს მსგავსი ტიპის ნაშრომის დაწერის სურვილი გაუჩნდათ.

როცა რაიმეს ღირსებებზე საუბრობენ, როგორც წესი, მისი ნაკლოვანებებსაც შეეხებიან ხოლმე. მოცემულ ნაშრომთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, არ იქნება სწორი ვილაპარაკოთ მის ნაკლოვანებებზე. მე მხოლოდ მსურს გამოვთქვა ზოგიერთი ჩემი მოსაზრება, რაც, ვვარაუდობ, ნაშრომში მოცემული გარკვეული აზრების უკეთ გაგებასა და დაზუსტებას შეუწყობს ხელს. პირველ ყოვლისა, მე მინდა გავაფრთხილო მკითხველი, რომ მოცემული ნაშრომის სიმარტივე, სულაც არ ნიშნავს თვით იმ საკითხებისა და პრობლემების სიმარტივეს, რომლებზეც საუბარია მასში. ამიტომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მოცემული რჩევები, „რეცეპტები“ უნდა გამოყენებულ იქნეს არა მექანიკურად, არამედ საკუთარ თავთან მორგებით. კარგი იქნება, თუ აღნიშნულ რეკომენდაციებს განიხილავთ სათანადო სპეციალისტთან ერთად, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში. ასევე, მინდა მოკლედ შევეხო ნაშრომში განხილულ ორ მნიშვნელოვან საკითხს – ფსიქოტროპული ნამლების მიღებას და ფსიქოთერაპიას. ფსიქოტროპული ნამლების მიღების საკითხის გარჩევი-

სას ჯგუფური ფსიქოთერაპიის დროს, აღმოჩნდა, რომ ნაშრომის ეს თავი ჯგუფის წევრების მიერ რადიკალურად განსხვავებულად იქნა გაგებული. ერთი ამბობდნენ, რომ მოცემული ნაშრომი მოგვიწოდებს ფსიქოტროპული ნამლების არ მიღებას, მეორენი კი ამის საწინააღმდეგო აზრზე იდგნენ და ამის დასამტკიცებლად ზოგჯერ თავიანთ გამოცდილებასაც იშველიებდნენ. ბოლოს, ჩვენ იმაზე შევთანხმდით, რომ მოცემული ნაშრომის თანახმად, ფსიქოტროპული ნამლების მიღება-არმიღებას, მათი მიღების ხანგრძლივობას უნდა მივუდგეთ დიფერენცირებულად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფსიქოტროპული პრობლემების მქონე ადამიანმა, სათანადო სპეციალისტთან (ან სპეციალისტებთან) ერთად უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხები. რაც შეეხება ფსიქოთერაპიას, მოკლედ, მე მინდა შემდეგი რამე ვთქვა. ნებისმიერი ფსიქიატრიული პრობლემა დეტერმინირებულია პიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორებით. ამიტომ ფსიქოთერაპია, რომელიც, ჩემი აზრით, პიროვნების ნამყვანი ფსიქო-სოციალური დეტერმინანტების გამოვლინებასა და მათზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად, ყველა შემთხვევაში აუცილებელია. არც მხოლოდ ნამლები, და არც კონკრეტული რჩევები, კვალიფიცირებული ფსიქოთერაპიული მუშაობის გარეშე, ჩემი ვარაუდით, საკმარისი არ არის. თუმცა, მე აძსოლუტუ-

რად ვეთანხმები ნაშრომის ავტორებს, რომ აუ-
ცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში
შეირჩეს კვალიფიცირებული ფსიქოთერაპევტი
სწორედ მოცემული პაციენტისათვის.

დასასრულს, მე მინდა მადლობა გადავუხადო
„ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა
გერმანულ ასოციაციას“ ამ შესანიშნავი ნაშრომის
დაწერისათვის. ასევე, დიდი მადლობით მინდა
მოვიხსენიო ამ ნაშრომის ქართულად მთარგმნე-
ლი და მისი გამომცემელი – დევი და სოსო დუმ-
ბაძეები, რომელთა გარკვეული ძალისხმევის
გარეშე ამ ნაშრომს ქართველი მკითხველი ვერ
იხილავდა.

საქართველოს ფსიქოთერაპევტთა და
კლინიკურ ფსიქოლოგთა ასოციაცი-
ის თანაპრეზიდენტი, ფსიქო-სოცია-
ლური რეაბილიტაციის ცენტრის
ფსიქოთერაპევტი – თემურ იოსებაძე
აპრილი, 2008 წელი

დამხმარე მოგანიზაციათა საკონტაქტო ინფორმაცია

- ა. გოცირიძის სახელობის თბილისის ფსიქონევროლოგი-ური დისპანსერი**

(იურიდიული მხარდაჭერა, ფსიქიატრიული დახმარება,
რეაბილიტაცია)

საკონტაქტო პირი: გიორგი გელეიშვილი
მისამართი: კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა №3
თბილისი
ტელ.: (+995 32) 39 66 65
ელ-ფოსტა: pnd_@rambler.ru

- არასამთავრობო კავშირი „ალტერეგო“**

(ფსიქიატრიული დახმარება, პროფესიული ტრენინგები,
შეზღუდული უნარის მქონე პირთა დღის სარეაბილიტაციო
ცენტრი)

საკონტაქტო პირი: მაია ქემაშვილი
მისამართი: რუსთაველის ქუჩა № 11
თელავი
ტელ.: (+8 250) 7 51 93
ელ-ფოსტა: alteregou@yahoo.com

- ასოციაცია „ანტისტიგმა“

(ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მიმართ სტიგმა-ტიზაციის საწინააღმდეგოდ მიმართული აქტივობა)

საკონტაქტო პირი: ნატალია ხონელიძე

მისამართი: გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 20ა №44
თბილისი

ტელ.: (+995 32) 58 18 38
(+995 32) 77 38 93

ელ-ფოსტა: antistigma@caucasus.net

- ასოციაცია „აფრა საქართველო“

(ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პირთა მშობელთა ასოციაცია. თვითდახმარების ჯგუფები კვალიფიცირებული სპეციალისტების მონანილეობით)

ხელმძღვანელი: ლალი ბანძელაძე

მისამართი: ასათიანის ქუჩა №10
0177 თბილისი

ტელ.: (+995 32) 39 97 73

ელ-ფოსტა: lalibaneladze@yahoo.com
pri@psychiatry.ge

- ასოციაცია „ფსიქეა“

(ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, ფსიქოთერაპია,
იურიდიული მხარდაჭერა)

საკონტაქტო პირი: ელენე მახარაძე

მისამართი: სტალინის ქუჩა №35ა

გორი
ტელ.: (8 207) 7 41 70
ელ-ფოსტა: psychea2004@rambler.ru

- გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში

(ტექნიკური და ფინანსური დახმარება ფსიქიატრიული პროექტებისთვის, ინფორმაციული უზრუნველყოფა)

საკონტაქტო პირი: თამარ ოკუჯავა
მისამართი: ყიფშიძის ქუჩა №49ა
თბილისი
ტელ.: (+995 32) 235314
(+995 32) 214006
(+995 32) 214008
ელ-ფოსტა: tbilisi@gip-global.org

- თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციასთან არსებული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი

(ქრონიკულ ფსიქიატრიულ პაციენტთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია)

ხელმძღვანელი: არჩილ ბეგიაშვილი
მისამართი: ასათიანის ქუჩა №10
0177 თბილისი
ტელ.: (+995 32) 39 78 44
ელ-ფოსტა: mental@gamh.org.ge

- **თბილისის ფსიქოკური ჯანმრთელობის ცენტრი**

(შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განყოფილება:
24 საათიანი მომსახურება, კვებით უზრუნველყოფა;
დისპანსერულ-ამბულატორიული განყოფილება: ფსიქო-
სოციალური რეაბილიტაცია, არტისტაპია, კოგნიტიური
თერაპია).

საკონტაქტო პირი: ბიძინა მგალობლიშვილი
მისამართი: იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №43
(გლდანის A მ/რ)
თბილისი
ტელ.: (+995 32) 26 50 90
(+995 32) 65 38 28

- **თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი**

(ამბულატორია, ფსიქიატრიული დახმარება,
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია)

საკონტაქტო პირი: ირინა გეგეჭეორი
მისამართი: რუსთაველის ქუჩა №11
თელავი
ტელ.: (+8 250) 7 51 93
ელ-ფოსტა: alteregou@yahoo.com

- **კავშირი „თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის“**

(ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა უფლებების დაცვა)

დამფუძნებელი: ნანა ზავრადაშვილი
მისამართი: ასათიანის ქუჩა №10
0177 თბილისი

ტელ.: (+995 32) 31 18 39
ელ-ფოსტა: mental_advocacy@gamh.org.ge

- **საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია**

(პაციენტების მომსახურება, პროფესიული ტრენინგი,
ფსიქიატრიულ კანონმდებლობაზე მუშაობა)

ხელმძღვანელი: მანანა შარაშიძე
მისამართი: ასათიანის ქუჩა №10
0177 თბილისი
ტელ.: (+995 32) 39-78-44
ფაქსი: (+995 32) 30-90-97
ელ-ფოსტა: mental@gamh.org.ge

- **საქართველოს ფსიქო-სოციალური დახმარების
ასოციაცია „ნდობა“**

(ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, ამბულატორიული დახ-
მარების განვევა, ინფორმაციული და იურიდიული მხარ-
დაჭერა, სამედიცინო ფსიქოლოგიური კონსულტაცია და
ფსიქოთერაპია)

საკონტაქტო პირი: ნანა აღაპიშვილი
მისამართი: ნინამძღვრიშვილის ქუჩა №102
0102 თბილისი
ტელ.: (+995 32) 911 000
ელ-ფოსტა: ndoba@caucasus.net

- საქართველოს იუზერთა და ექს-იუზერთა კავშირი
 (ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა ქართული კავშირი)

ხელმძღვანელი: ზაქარია გელაძე
 მისამართი: ნუცუბიძის ქუჩა №149
 თბილისი
 ტელ.: (+995 32) 32 90 21
 ფაქსი: (+995 32) 30 90 97
 ელ-ფოსტა: users@gol.ge
- სიღნალის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი
 (ამბულატორია, ფსიქიატრიული დახმარება)

საკონტაქტო პირი: მარიანა ხუციშვილი
 მისამართი: აღმაშენებლის ქუჩა №15
 სიღნალი
 ტელ.: (+995) 93 90 92 27
 ელ-ფოსტა: marianna_mari@list.ru
- ფსიქიატრიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
 არტერაპიის განყოფილება
 (პაციენტთა არტერაპია, ერგო თერაპია, მუსიკით თერაპია,
 კომპიუტერული გრაფიკა)

ხელმძღვანელი: ლალი ბანძელაძე
 მისამართი: ასათიანის ქუჩა №10
 0177 თბილისი
 ტელ.: (+995 32) 39 97 73
 ელ-ფოსტა: lalibaneladze@yahoo.com
 pri@psychiatry.ge

- ფსიქიატრიის კვლევის ინსტიტუტი

(ფსიქიატრიული სტაციონარი, ამბულატორია; ფსიქოთერაპია, არტთერაპია)

საკონტაქტო პირი: გიორგი ნანევიშვილი
მისამართი: ასათიანის ქუჩა №10
თბილისი
ტელ.: (+995 32) 39 47 65
ელ-ფოსტა: psycho@geo.net.ge

- ფსიქო-სოციალური დახმარების კავშირი

საკონტაქტო პირი: ქახი კოპალიანი
მისამართი: ქუთაისი
ტელ.: (8 231) 5 10 37
ელ-ფოსტა: kkopaliani@yandex.ru

საგას სხვა გამოცემები:

ჰანს ბელერი – კინომონტაჟის ასპექტები

დასავლეთში ფართოდ გავრცელებული, შესავალი ხასიათის მქონე კინოსამონტაჟო სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც გაანალიზებულია აქტუალური სამონტაჟო მოდელები, ცნებები და რეჟისორთა სპეციფიკური სტილები: ეიზენშტეინი, ბუნუელი, ჰიჩკოკი, გოდარი, ტარკოვსკი, კუბრიკი, ჯარმუში და სხვა.




გამოცემას ახლავს კინოსამონტაჟო ცნებების განმარტებითი ლექსიკონი; კადრთა სიდიდის მაჩვენებელი და 180 გრადუსის პრინციპის ამსახველი სქემები



www.goethe.de/ins/geo/ausst/koenigswinter.htm

ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნიმუში მისი
ტექნიკური რეაროგული რეაროგული გადაწყვეტილების ეპოქაში.
ისტორიის ცნების შესახებ

მკითხველს პირველად ეძღვევა საშუალება გაეც-
ნოს ქართულ ენაზე ცნობილი ფილოსოფოსისა და
კულტურის მკვლევრის, ვალტერ ბენიამინის (1892-
1940), ორ ნაშრომში: „ხელოვნების ნიმუში მისი ტე-
ქნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ (1935-36)
და „ისტორიის ცნების შესახებ“ (1940).



www.goethe.de/ins/geo/ausstellungen/benjamin.htm

პირველი წერილი ხე-
ლოვნების ნიმუში „აუ-
რის“ დაკარგვის ახსნას
გვთავაზობს. მან განსა-
კუთრებული აქტუალუ-
რობა შეიძინა 60-იან
წლებში, როცა იქცა
მოწოდებად, ხელოვნე-
ბა გამოეყენებინათ სო-
ციალურ-პოლიტიკური
ემანსიპაციის მიზნით.
თეზისები „ისტორიის
ცნების შესახებ“ ავამე-
ბს ავტორის თანამე-
დროვე პერიოდის ბჭო-
ბას ისტორიული მა-
ტერიალიზმის დანიშ-
ნულებაზე.

ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაცია – რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ „შემძლილ-ობა“?

„მეგზური“ განკუთვნილია ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე ადამიანებისა და მათი ახლობლებისათვის, რომლებიც კრიზისის დროს და მის შემდეგ მხარში უდგანან ამ პიროვნებებს. აქ მოცემული რჩევები საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად და შინაურულად მოვეეკიდოთ ამ მდგომარეობას; გვეხმარება, შეძლებისდაგვარად ფსიქოტროპული წამლების გა-

რეშე, ორგანიზმისადმი ზიანის მიყენების გვერდის ავლით, მოვლენების მართვასა და მყუდროებისა და სტაბილურობის მოპოვებაში.

რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ „შემძლილ-ობა“?




ტექსტს ახლავს ფსიქიატრ თემურ იოსებაძის ბოლოსიტყვაობა და დამხმარე იორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია.



Bpø

რეზო კვესელავა - მოგონებები ჩართველ კინემატოგრაფისტებზე


ქართველი კინოდრამატურგის რეზო კვესელავას სამე-
მუარო წერილების კრებულში „მოგონებები ქართველ
კინემატოგრაფისტებზე“ ავტორი იხსენებს: თენიგიზ
აბულაძეს, აკაკი ბაქრაძეს, სულიკო უღენტს, მიხეილ
კვესელავას, მიხეილ კობახიძეს, კოტე მიქაბერიძეს,
ალექსანდრე რეხვიაშვილს, სერგო ფარაჯანოვს, ოთარ
იოსელიანს, დორე ხინთიბიძესა და სხვებს.



გამოცემაში წარმოდ-
გენელია ქართველ კი-
ნემატოგრაფისტთა
უნიკალური ფოტო-
ები ავტორის პირადი
არქივიდან და კინო-
სტუდია „ქართული ფი-
ლმის“ ორასამდე თა-
ნამშრომლის მოკლე
ბიოგრაფიული მონა-
ცემები.

აკა მორჩილაძე – პაგდატა ინ ჯორჯია

ცალკე გამოცემის სახით პირველად იბეჭდება თანამე-დროვე ქართველი მწერლის, აკა მორჩილაძის, ესეისტური ტექსტები: „კაგდატა ინ ჯორჯია“ (2008) და „პირადი ენციკლოპედია“ (2007).



დამატებითი ინფორმაცია:
www.sa-ga.org